

# სსიპ „იუსტიციის სახლი“



იუსტიციის  
სახლი

ქ. თბილისის იუსტიციის სახლში ანტრესოლების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (CPV71320000)

## საკონკურსო დოკუმენტაცია

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონისა და “კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების საფუძველზე

2015წ.

ქ. თბილისი

## საკონკურსო დოკუმენტაცია

### 1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

შესყიდვის ობიექტის აღწერილობა, ჩამონათვალი, მოცულობა და სხვა პირობები განისაზღვრება საკონკურსო დოკუმენტაციის დანართი №1-ის შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება: შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება 20 000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: მიწოდების ვადები განისაზღვრება საკონკურსო დოკუმენტაციის დანართი №1-ის შესაბამისად.

### 3. საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშების მეთოდი

საკონკურსო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯის (მ.შ კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები) გათვალისწინებით.

### 4. ანგარიშსწორების ვადები და პირობები:

4.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში - ლარში, ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) საფუძველზე, დოკუმენტების სრულყოფილად გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

4.2 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მიმწოდებლის მიერ საბოლოო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენის, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის მქონე პირის მიერ მომზადებული საექსპერტო დასკვნის და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფის შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

4.3 დაფინანსების წყარო: სსიპ „იუსტიციის სახლის“ საკუთარი შემოსავლები.

5. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს პირს, რომელმაც კანონმდებლობით დადგენილი წესით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 19<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)), გადაიხადა კონკურსში მონაწილეობის საფასური 50,00 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით და წარმოადგინა საკონკურსო წინადადება.

5.1. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი (სსიპ „იუსტიციის სახლი“; ს/კ 204580202).
- გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.
- დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებაამდე.

7. საკონკურსო წინადადების და მასთან ერთად საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2015 წლის 10 ივლისის 17:00 საათი, წარმოდგენის ადგილი: ქ. თბილისი. სანაპიროს ქ #2, I სართული, 121-ე ოთახი. საკონკურსო წინადადება, რომელიც წარმოდგენილი იქნება ამ პუნქტში მითითებულ ვადაზე გვიან, არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

8. საკონკურსო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე ( დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი) და

წარმოდგენილი უნდა იყოს ერთ დალუქულ კონვერტში, ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ. ალტერნატიული საკონკურსო წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია.

**9. საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2015 წლის 10 ივლისს 17:30 საათზე პრეტენდენტების თანდასწრებით (პრეტენდენტ(ის)თა გამოუცხადებლობა არ გამოიწვევს მის დისკვალიფიკაციას);**

**10. გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა**

10.1 გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება ქულებით შეფასების სისტემით. წინადადებების შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების და მათი წონების გათვალისწინებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0,2;
- საკონკურსო დოკუმენტაციის 11.3. პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი ესკიზის ვიზუალური მხარე, გეგმარების შედეგად საპროექტო ფართის ეფექტური ათვისება, კონსტრუქციის მდგრადობა, მედეგობა, საიმედოობა: კოეფიციენტი – 0,5;
- გამოცდილება საკონკურსო დოკუმენტაციის 11.4 და 11.5. პუნქტების შესაბამისად: კოეფიციენტი - 0,3.

10.2 კონკურსანტი გამარჯვებულად გამოვლინდება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

**11. პრეტენდენტმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:**

11.1. საკონკურსო წინადადების ფასი და შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა საკონკურსო დოკუმენტაციის დანართი №2-ის შესაბამისად;

11.2. პრეტენდენტის რეკვიზიტები (დასახელება, მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის პირის სახელი, გვარი) საკონკურსო დოკუმენტაციის დანართი №3-ის შესაბამისად;

11.3. გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა ტექნიკური დავალების (დანართიN1) შესაბამისად, შემდეგი სახით: არქიტექტურულ-კონსტრუქციული კონცეფცია - ესკიზური პროექტი ავტორისეული ხედვით, შესაბამისი კონსტრუქციული გაანგარიშებით საიმედოობის, მდგრადობისა და მედეგობის თვალსაზრისით, საპროექტო ფართის ათვისების მითითებით; განმარტებითი ბარათი პროექტის დახასიათებით; სქემატური ნახაზები - გეგმები, ჭრილები. წარმოდგენილი უნდა იქნას ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი მასალა A3 ფორმატში, ასევე ესკიზური პროექტის ელექტრონული ვერსია (PDF ფაილით).

11.4. პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს 2012-2015 წწ პერიოდში ანალოგიური მომსახურების გამოცდილება, მათ შორის შენობის გამაგრების და რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავების თაობაზე მინიმუმ 5 დასრულებული პროექტი, რის დასადასტურებლადაც უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ხელშეკრულებები და მათი შესრულების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტები (ან/და ექსპერტის დასკვნები ან/და ნებისმიერი სახის დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს აღნიშნული მომსახურების შესრულების ფაქტს);

11.5. პროექტის ავტორებს შემუშავებული უნდა ქონდეთ მინიმუმ 5 მსგავსი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შენობის გამაგრების და რეკონსტრუქციის შესახებ, რის თაობაზეც წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ინფორმაცია ცხრილის სახით:

N	პროექტის ავტორის სახელი და გვარი	დამკვეთის დასახელება	პროექტის დასახელება
1			
2			
3			
4			

5			
---	--	--	--

## 12. კონკურსანტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- 12.1 თუ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს საკონკურსო დოკუმენტაციის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე დოკუმენტს;
- 12.2 თუ ის უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;
- 12.3 თუ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.
- 12.4. თუ საკონკურსო წინადადების ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას.
- 12.5. თუ საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილია საკონკურსო დოკუმენტაციის მე-5 და 5.1. პუნქტების დარღვევით.

## 13. გამარჯვებულის გამოვლენა და ხელშეკრულების დადება:

- 13.1 წინადადებების მიღების დასრულებიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში მოხდება პრეტენდენტთა საკონკურსო წინადადებების შერჩევა/შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა. აღნიშნულ ვადაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში, მოსთხოვოს პრეტენდენტს მის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის მე-11 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის დაზუსტება.
- 13.2 გამარჯვებულის გამოვლენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გამარჯვებულ კონკურსანტთან დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

## 14. დამატებითი ინფორმაცია

- 14.1. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი სანაპიროს ქ #2. საკონტაქტო პირი: ეკატერინე ირემაძე , ტელ: 577 05 06 88; ელ ფოსტა: [eiremadze@psh.gov.ge](mailto:eiremadze@psh.gov.ge)
- 14.2. დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა ადგილზე გაეცნოს არსებულ ვითარებას.

## ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტი: ქ. თბილისის იუსტიციის სახლში ანტრესოლების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.

## გასაწევი მომსახურების აღწერა-ჩამონათვალი

## 1. შესასყიდი მომსახურება მოიცავს:

1.1. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას/დამუშავებას "მუშა პროექტის" დონეზე, რომელიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს (ქვემოთმოყვანილი მონაცემები სავარაუდოა და პროექტის მომზადების პროცესში შესაძლებელია მათი კორექტირება შემსყიდველთან შეთანხმებით):

- დემონტაჟის პროექტი (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:
  - დემონტაჟის პროექტის განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების მეთოდების შესახებ. აქვე მოცემული უნდა იყოს აუცილებელი უსაფრთხოების ტექნიკისა და ღონისძიებების ჩამონათვალი.
  - დემონტაჟის გეგმა 1:100 ან 1:200 მასშტაბში. გეგმაზე დატანილი უნდა იქნეს სამშ. ტექნიკის მუშაობის და უსაფრთხოების ზონები, სამშ. ნაგვის დროებითი დასაწყობების ადგილები და სხვ.
- არქიტექტურული ნაწილი, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:
  - არქიტექტურული ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, პროექტში არსებული სივრცეების მოწყობის შესახებ.
  - საპროექტო სივრცის ჰორიზონტალური დაკვალვის გეგმა, არსებულ მყარ წერტილებზე მიბმის ჩვენებით.
  - საპროექტო სივრცის საფარის ტიპების გეგმა შესაბამისი ჭრილების ჩვენებით.
  - საპროექტო სივრცის სამ-განზომილებიანი ვიზუალიზაცია (ეგრედ წოდებული რენდერები) მაღალი რეზოლუციით. მინიმუმ სამ-სამი თვალსაჩინო გამოსახულება სახვადასხვა რაკურსით.
  - საპროექტო სივრცის ფუნქციონალური გეგმები სათავსების დანიშნულების და ფართობების მითითებით, სართულების მიხედვით (მასშტაბი 1:50 ან 1:100)
  - საპროექტო სივრცის დაკვალვითი გეგმები, დეტალური ზომების დატანით, სართულების მიხედვით (მასშტაბი 1:50 ან 1:100)
  - საპროექტო სივრცის გრძივი და განივი ჭრილები (მასშტაბი 1:50 ან 1:100). უნდა დამუშავდეს მინიმუმ ერთი განივი და ერთი გრძივი ჭრილი.
  - საპროექტო სივრცის კედლებისა და ტიხრების ტიპების მარკირების გეგმები (მასშტაბი 1:50 ან 1:100) და ცალკეული ტიპების სტრუქტურული ჭრილები (მასშტაბი 1:2, 1:5, 1:10)
  - საპროექტო სივრცის იატაკებისა და ჭერების მოპირკეთების ტიპების მარკირების გეგმები (მასშტაბი 1:50 ან 1:100) და ცალკეული ტიპების სტრუქტურული ჭრილები (მასშტაბი 1:2, 1:5, 1:10)
  - საპროექტო სივრცის კედლების შიდა მოპირკეთების ტიპების მარკირების გეგმები (მასშტაბი 1:50 ან 1:100), ცალკეული ტიპების დეტალური აღწერა (საჭიროების შემთხვევაში მათი სტრუქტურული ჭრილების თანდართვით).

- საპროექტო სივრცის ღიობების შევსების მარკირების გეგმები (მასშტაბი 1:50 ან 1:100) და კარ-ფანჯრების ცალკეული ტიპების დეტალური ნახაზები (მასშტაბი 1:2, 1:5, 1:10, 1:20)
- საპროექტო სივრცის არქიტექტურული დეტალებისა და კვანძების მუშა ნახაზები (კიბეები, მოაჯირები, და სხვა დეტალები, მასშტაბი 1:2, 1:5, 1:10, 1:20)
- **ტექნოლოგიური ნაწილი**, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:
  - ტექნოლოგიური ნაწილის განმარტებითი ბარათი.
  - საპროექტო სივრცის ტექნოლოგიური გეგმები ავეჯის და ინვენტარის განთავსების ადგილების ჩვენებით, სართულების მიხედვით.
  - ავეჯის, ინვენტარის სპეციფიკაცია. სპეციფიკაციაში მითითებული უნდა იყოს ავეჯის და ინვენტარის გაბარიტული ზომები.
  - საპროექტო სივრცის საევაკუაციო გეგმები შესაბამისი მაჩვენებლების განთავსების ადგილების ჩვენებით.
- **კონსტრუქციული ნაწილი**, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:
  - კონსტრუქციული ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას კონსტრუქციებზე მოქმედი მოსალოდნელი დატვირთვების შესახებ. აქვე მოცემული უნდა იყოს შენობების კონსტრუქციული სქემების აღწერა და მათი გაანგარიშების მეთოდები.
  - შენობის არსებული მზიდი კონსტრუქციების ანგარიშები დატვირთვაზე და კონსტრუქციების გაძლიერების პროექტი. მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საძიებო სამუშაოების ჩატარება, რაც გულისხმობს ანტრესოლის მოსაწყობი სივრცის ტექნიკურ დათვალიერებას, არსებული მზიდი კონსტრუქციების შესწავლას მდგრადობაზე, შემდგომში პროექტირების სრულყოფილად განხორციელებისათვის. საძიებო სამუშაოები უნდა მოიცავდეს მინიმუმ:
    - ✓ აზომვითი ნახაზის მომზადება.
    - ✓ კონსტრუქციული დასკვნის შედგენას, რომელშიც უნდა განისაზღვროს საპროექტო სივრცის მზიდ კონსტრუქციებზე (ნაგებობის სვეტები, რიგელები, საძირკვლები და ა.შ) მოსალოდნელი დატვირთვები და უსაფრთხოება, საქართველოში მოქმედი პროექტირების ნორმების შესაბამისად.
  - საპროექტო სივრცის მზიდი კონსტრუქციების დეტალური მუშა ნახაზები შერჩეული კონსტრუქციული სქემებისა და მასალის შესაბამისად. (რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენების შემთხვევაში საყალიბე და არმირების ნახაზებს უნდა ახლდეს საარმატურე ფოლადის დეტალური სპეციფიკაციები; ლითონის კონსტრუქციების გამოყენების შემთხვევაში პროექტი უნდა ითვალისწინებდეს ნახაზების დამუშავებას ეგრედ წოდებული km სტადიაზე).
  - კონსტრუქციებში ხის მასალის გამოყენების შემთხვევაში პროექტი უნდა ითვალისწინებდეს კონსტრუქციული ელემენტებისა და მათი შეერთების საკონტაქტო დეტალების დაწვრილებით ნახაზებს და მასალების სპეციფიკაციებს.
- **ელექტრული ნაწილი**, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ელექტრული ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ელექტრული ქსელების შესახებ. განმარტებით ბარათში მითითებული უნდა იყოს დადგენილი და მოთხოვნილი სიმძლავრეები, ასევე მათი უზრუნველყოფის გზები)
  - საპროექტო სივრცის შიდა ქსელების ნახაზები, სართულების მიხედვით, მასალებისა და ნაკეთობების სპეციფიკაციები.
  - საპროექტო სივრცის შიდა განათების ქსელების ნახაზები, სართულების მიხედვით, მასალებისა და ნაკეთობების სპეციფიკაციები.
  - საპროექტო სივრცის მთავარ ელ.ფარზე დაერთების სქემა (საჭიროების შემთხვევაში) მასალების სპეციფიკაცია.
- **სუსტდენიანი სისტემების ნაწილი**, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:
    - სუსტი დენების ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, სუსტდენიანი ქსელების შესახებ.
    - საპროექტო სივრცის შიდა სახანძრო სიგნალიზაციის და დეტექტორების ქსელის სქემები სართულების მიხედვით და საერთო ბლოკ-სქემა, მასალების და მოწყობილობების სპეციფიკაცია.
    - შიდა კომპიუტერული ქსელის სქემები სართულების მიხედვით და საერთო ბლოკ სქემა, მასალების და მოწყობილობების სპეციფიკაცია.
- **გათბობა, კონდიციონირება, ვენტილაციის ნაწილი**, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:
    - გათბობა, კონდიციონირება, ვენტილაციის ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, საპროექტო სივრცის სითბო-სიცივით მომარაგების უზრუნველყოფის და გათბობა, კონდიციონირება, ვენტილაციის სისტემების შესახებ. მითითებული უნდა იყოს მოთხოვნილება თბურ (სითბო, სიცივე) ენერგიაზე.
    - საპროექტო სივრცის სითბო-სიცივით მომარაგების კვანძის სქემები, მასალებისა და ნაკეთობების სპეციფიკაციები.
    - საპროექტო სივრცის გათბობა-გაგრილების და ვენტილაციის სქემები და ნახაზები (სამგანზომილებიანი სქემების ჩათვლით), მასალებისა და ნაკეთობების სპეციფიკაციები.
- **მშენებლობის ორგანიზაციის ნაწილი**, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:
    - მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, საპროექტო სივრცის მშენებლობის ხანგრძლივობის, ენერგო-მატერიალურ-შრომით რესურსებზე მშენებლობის მოთხოვნილების, სასაწყობო და საყოფაცხოვრებო ფართზე მშენებლობის მოთხოვნილების შესახებ. განმარტებით ბარათში ასევე უნდა მიეთითოს საჭირო უსაფრთხოების ტექნიკის და გარემოს დაცვითი ღონისძიებანი.
    - მშენებლობის კალენდარული გრაფიკი
- **სახარჯთაღრიცხვო ნაწილი**, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:
    - სახარჯთაღრიცხვო ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დანარიცხების გაანგარიშების წესის შესახებ

(გაუთვალისწინებელი ხარჯები, ზედნადები ხარჯები, გეგმიური დაგროვება და სხვა).

- მშენებლობის შენაკრები ხარჯთაღრიცხვა.
- საობიექტო ხარჯთაღრიცხვები.
- ლოკალური ხარჯთაღრიცხვები შესრულებული რესურსული მეთოდით
- ლოკალურ ხარჯთაღრიცხვებში ცალ-ცალკე გამოყოფილი უნდა იყოს სამშენებლო მასალების ღირებულება, მუშათა ხელფასი, სამშენებლო მანქანების ექსპლოატაციის ხარჯები, ზედნადები ხარჯები და გეგმიური მოგება.
- ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული უნდა იყოს ლითონის კონსტრუქციებისათვის დეტალიზირებული ნახაზების (ეგრეთ წოდებული kmd სტადია) დამუშავების შემდგომ მოსალოდნელი მასალების და რესურსების ხარჯები, პროცენტულად.

### **1.2. მომსახურება, პროექტის შესაბამისად სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის პროცედურების მიმდინარეობის დროს, რაც მოიცავს შემდეგს:**

- სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური ნაწილის მომზადებას.
- საჭიროების შემთხვევაში, შესყიდვის პროცედურის მსვლელობისას, სატენდერო კომისიისათვის ახსნა განმარტებების, დასკვნების და რეკომენდაციების გაცემას ტექნიკურ საკითხებში.

### **1.3. საავტორო ზედამხედველობის გაწევა სამშენებლო სამუშაოების წარმოების პერიოდში, რაც მოიცავს შემდეგს:**

- სამშენებლო პროცესების გეგმიურ და არაგეგმიურ ინსპექტირებას. გეგმიური ინსპექტირება უნდა ჩატარდეს მინიმუმ 7 დღეში ერთხელ, ხოლო არაგეგმიური ინსპექტირება ტარდება დამკვეთის (ან სხვა დაინტერესებული მხარის) მოთხოვნით.
- ინსპექტირებისას აუცილებელია წარმოებდეს საავტორო ზედამხედველობის ჟურნალი, სადაც აისახება ინსპექტირების შედეგები. ჟურნალი ხელმისაწვდომი უნდა იყოს დამკვეთისათვის ნებისმიერ დროს.
- ფარული სამუშაოების კონტროლს, ფარულ სამუშაოთა აქტების შედგენაში მონაწილეობას და დამოწმებას.
- საავტორო ზედამხედველობის განხორციელებისას, ზედამხედველი ვალდებულია სამშენებლო პროცესების საპროექტო დოკუმენტაციასთან ყველა შეუსაბამობა და უზუსტობა დააფიქსიროს ჟურნალში და დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს.
- სამშენებლო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული საშემსრულებლო ნახაზების (დოკუმენტაციის) გადამოწმება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა დამკვეთისათვის.
- რეკომენდაციების და სპეციალური ტექნიკური დახმარების გაწევა სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარების პროცესში.

## **2. დასაგეგმარებელი ანტრესოლის სივრცის აღწერა.**

### **2.1. მდებარეობა:**

საქართველო, ქ. თბილისი, იუსტიციის სახლი, სანაპიროს ქN2.



## 2.2. არსებული სიტუაციის მოკლე აღწერა:

საპროექტო სივრცე მდებარეობს, ქ. თბილისის იუსტიციის სახლის ნოლ სართულზე, რომელიც მოქმედია და ამჟამად განთავსებულია თანამშრომელთა პირადი კარადები. საპროექტო სივრცე მაღალჭერიანია(5მ), მართკუთხა ფორმის ოთახი N1 8x10მ, ოთახი N2 10x10მ რომლის ფასადზე გამავალი მხარე შემინულია ჭერამდე. სივრცე უზრუნველყოფილია ელ. ენერგიითა და გათბობა გაგრილების სისტემით.

## 2.3. დასაგეგმარებელი ანტრესოლის სივრცის მოკლე აღწერა:

არსებული სივრცე ვერტიკალში, უნდა გაიყოს ორ ნაწილად. პირველ სართულზე უნდა განთავსდეს ინვენტარის საწყობი დამოუკიდებელი შესასვლელით, ხოლო ანტრესოლის მეორე სართულზე უნდა მოეწყოს თანამშრომელთა პირადი ნივთების შესანახი კარადები. ანტრესოლთან დაკავშირება უნდა განხორციელდეს კიბის საშუალებით. პროექტის მიხედვით უნდა განხორციელდეს არსებული სავენტილაციო სისტემის რეკონსტრუქცია ორივე სივრცის უზრუნველყოფის მიზნით. შემოთავაზებული პროექტი უნდა ითვალისწინებდეს არსებული საპროექტო სივრცის მაქსიმალურად და ეფექტურად ათვისებას.

## 3. პროექტირების ძირითადი პრინციპები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს მომწოდებელმა მომსახურების გაწევისას:

- 3.1. საპროექტო სივრცე უნდა იყოს მაქსიმალურად ენერგო დამზოგავი, მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი თბო დანაკარგები(თბო შენაკადები);
- 3.2. პროექტირება უნდა განხორციელდეს ალტერნატიული ვარიანტების ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების საფუძველზე;
- 3.3. გამოყენებული მასალები უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა, სასურველია პრიორიტეტი მიენიჭოს ბუნებრივი და ადგილობრივი მასალების გამოყენებას;
- 3.4. კონსტრუქციული თვალსაზრისით ნაგებობა უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხო ექსპლუატაციას მოსალოდნელ დატვირთვებზე;
- 3.5. საპროექტო გადაწყვეტილებებმა უნდა უზრუნველყონ მინიმალური საექსპლუატაციო და მოვლა-პატრონობის ხარჯები;
- 3.6. გამოყენებული სამშენებლო მასალები და ტექნოლოგიები საშუალებას უნდა იძლეოდნენ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი მათი მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების (რემონტის) ხარჯები;
- 3.7. ძირითადი მოსაპირკეთებელი მასალების და ნაკეთობების შერჩევა უნდა განხორციელდეს დამკვეთთან შეთანხმების საფუძველზე;
- 3.8. პროექტირების დროს ყველა დეტალი შეთანხმებულ იქნას შემსყიდველთან.
- 3.9. მომსახურების გაწევა განხორციელოს საქართველოში მოქმედი შესაბამისი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციისა და წინამდებარე ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ მოთხოვნათა სრული დაცვით.
- 3.10. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ისე, რომ არ შეფერხდეს შენობაში მიმდინარე სამუშაო პროცესი.
- 3.11. შემუშავებული პროექტის შესაბამისად შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ჯამური სავარაუდო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 100000 (ასი ათასი) ლარს.

## 4. საპროექტო მომსახურების დასრულების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტები, რომლებიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- 4.1. საპროექტო სივრცის ესკიზი.
- 4.2. სამგანზომილებიანი ვიზუალიზაცია.

- 4.3. პირველადი კონსტრუქციული სკემები.
- 4.4. საინჟინრო ქსელების პროექტირებების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.
- 4.5. არქიტექტურული ნაწილი.
- 4.6. ტექნოლოგიური ნაწილი.
- 4.7. კონსტრუქციული ნაწილი.
- 4.8. ელექტრული ნაწილი.
- 4.9. სუსტი დენების ნაწილი.
- 4.10. გათბობა, კონდიციონერება, ვენტილაციის ნაწილი.
- 4.11. მშენებლობის ორგანიზაციის ნაწილი.
- 4.12. ხარჯთაღრიცხვა (შედგენილი მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის“ შესაბამისად)

**სავალდებულო მოთხოვნა:** აღნიშნული პუნქტით განსაზღვრული საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (მ/შ ნახაზები, პროექტი, ხარჯთაღრიცხვა და სხვა დოკუმენტები) წარმოდგენილი უნდა იქნას 3 ეგზემპლარად - A3 ფორმატის ნაბეჭდი მასალის (ალბომის) სახით, ასევე ელექტრონულად - CD დისკზე ჩაწერილი, pdf და dwg ფაილების სახით.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

- 5.1. დანართი N1-ის 1.1. პუნქტით გათვალისწინებულ მომსახურების გაწევა და მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში პრეტენდენტმა ასევე უნდა უზრუნველყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის მქონე პირის მიერ მომზადებული დადებითი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს საექსპერტო დასკვნის ღირებულების ანაზღაურება;
  - 5.2. დანართი N1-ის 1.2. და 1.3. პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა იწარმოებს შესაბამისი პროცედურების მიმდინარეობის პერიოდში.
  - 5.3. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად ან მომსახურების გაწევისას გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დანახარჯის გაწევის გარეშე, ასეთი ხარვეზის/წუნის გამოვლენიდან და შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადებში. მომსახურების გაწევა იწარმოებს საჭიროებისამებრ, შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის მისამართზე.
6. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის თანახმად, მიმწოდებლის მიერ, შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილ ნაწარმოებზე (კერძოდ, პროექტზე) ქონებრივი საავტორო უფლებები ეკუთვნის შემსყიდველს.

"ფასების ცხრილი"

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	გასაწევი მომსახურების აღწერილობა	რაოდენობა	ღირებულება
1	ქ. თბილისის იუსტიციის სახლში ანტრესოლების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება	შესყიდვის ობიექტის აღწერილობა განისაზღვრება საკონკურსო დოკუმენტაციის დანართი N1-ის შესაბამისად	1	
სულ ღირებულება (ლარი)				

**შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადები:**

ა) საკონკურსო დოკუმენტაციის დანართი N1-ის 1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა და მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან ----- დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში პრეტენდენტმა ასევე უნდა უზრუნველყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის მქონე პირის მიერ მომზადებული დადებითი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს საექსპერტო დასკვნის ღირებულების ანაზღაურება

ბ) საკონკურსო დოკუმენტაციის დანართი N1-ის 1.2. და 1.3. პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა იწარმოებს შესაბამისი პროცედურების მიმდინარეობის პერიოდში.

პრეტენდენტი -----

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი (არსებობის შემთხვევაში)

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება: \_\_\_\_\_

ხელმძღვანელის/უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი: \_\_\_\_\_

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი: \_\_\_\_\_

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: \_\_\_\_\_

საიდენტიფიკაციო კოდი: \_\_\_\_\_

ბანკი და ბანკის კოდი: \_\_\_\_\_

ანგარიშსწორების ანგარიში: \_\_\_\_\_

2. წინამდებარე დოკუმენტზე ხელისმოწერით პრეტენდენტი ეთანხმება საკონკურსო დოკუმენტაციის ყველა იმ მოთხოვნას, რომელთა შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა არ არის სავალდებულო.

პრეტენდენტი:-----

ხელმოწერა:-----

*ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ*

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №-----

ქ. თბილისი

“-----“ “-----“, 2015 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, **სსიპ იუსტიციის სახლი** (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ----- სახით, და მეორეს მხრივ, ----- (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი ----- სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების საფუძველზე, კონკურსის (N -----) ჩატარების შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, ასევე ყველა იმ დოკუმენტით, რომელზედაც წინამდებარე ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „ექსპერტიზის დასკვნა“ - სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის მქონე პირი გაცემული ექსპერტიზის დასკვნა.

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. ხელშეკრულების საგანია, სსიპ „იუსტიციის სახლი“-ს საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, საინჟინრო-საპროექტო მომსახურების (შემდგომში-მომსახურება) შესყიდვა (CPV 71320000).

2.2. ხელშეკრულების ობიექტია ქ. თბილისის იუსტიციის სახლში ანტრესოლების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა დანართი N1-ის (ტექნიკური დავალება) შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.3. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პირთა მიერ.

2.4. ყოველი მხარე ვალდებულია მოაწოდოს მეორე მხარეს ის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესასრულებლად, ასევე, რომელიც მხარეებისათვის ცნობილი გახდა ამ ხელშეკრულების ფარგლებში და შესაძლოა წარმოადგენდეს ინტერესის საგანს მეორე მხარისთვის

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----- (------) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა სახის ხარჯს, მათ შორის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

#### **4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი**

4.1. დანართი N1-ის 1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა და მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში პრეტენდენტმა ასევე უნდა უზრუნველყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის მქონე პირის მიერ მომზადებული დადებითი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს საექსპერტო დასკვნის ღირებულების ანაზღაურება;

4.2. დანართი N1-ის 1.2. და 1.3. პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა იწარმოებს შესაბამისი პროცედურების მიმდინარეობის პერიოდში.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად ან მომსახურების გაწევისას გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დანახარჯის გაწევის გარეშე, ასეთი ხარვეზის/წუნის გამოვლენიდან და შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადებში.

4.4. მომსახურების გაწევა იწარმოებს საჭიროებისამებრ, შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის მისამართზე.

#### **5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მიმწოდებლის მიერ საბოლოო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენის, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის მქონე პირის მიერ მომზადებული საექსპერტო დასკვნის და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფის შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

#### **6. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი**

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, უნაღლო ანგარიშსწორებით, შემსყიდველის საკუთარი სახსრებით.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) საფუძველზე, დოკუმენტების სრულყოფილად გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

6.3. ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

#### **7. მხარეთა ვალდებულებანი**

7.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

7.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

7.2.1. აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

7.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

7.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

7.3.2. მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად ან მომსახურების გაწევისას გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დანახარჯის გაწევის გარეშე.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. მომსახურების გაწევა განახორციელოს საქართველოში მოქმედი შესაბამისი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციისა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნათა სრული დაცვით.

7.4.2. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად ან მომსახურების გაწევისას გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დანახარჯის გაწევის გარეშე, ასეთი ხარვეზის/წუნის გამოვლენიდან და შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადებში.

7.5. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

## 8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. გაწეული მომსახურების ხარისხისა და ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების შემოწმების მიზნით ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს იუსტიციის სახლის სამეურნეო და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური. შემსყიდველს უფლება აქვს ჩართოს ინსპექტირების პროცესში სხვა პირები, რომელთა ჩართვასაც ის ჩათვლის მიზანშეწონილად.

8.2. ინსპექტირების პერიოდულობა და მოცულობა განისაზღვრება შემსყიდველის შეხედულებისამებრ და დაუშვებელია მისი რაიმე სახით შეზღუდვა.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, შემსყიდველი წერილობითი ფორმით უწესებს მას დამატებით ვადას ან აფრთხილებს ვალდებულების ჯეროვნად შეუსრულებლობისათვის. ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის ან არსებითად დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.3. მიმწოდებელს, მის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი ვადების გადაცილების შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.

9.4. შემსყიდველ ორგანიზაციას, მის მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.1 %-ის ოდენობით.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები პასუხისმგებელი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა: საომარი მოქმედებები, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი, აუცდენელი, მხარეების ნებისგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10.3. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახეზეა მხარის მიერ ვალდებულების შესრულების დროებითი შეუძლებლობა, იგი უგზავნის წერილობით შეტყობინებას მეორე მხარეს ასეთი გარემოებების და ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ხანგრძლივობის შესახებ. თუ

მეორე მხარე არ დათანხმდა ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

## **11. ხელშეკრულების პირობების გადახედვა**

11.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევებში ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დასაშვებია მისი 10 პროცენტის ფარგლებში.

11.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩათვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## **12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერიდან და მოქმედებს ----- წლის ----- ჩათვლით, გარდა იმ შემთხვევებისა, რისთვისაც, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილია მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების განსხვავებული ვადები.

## **13. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა**

13.1. ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

13.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთი მხარის მიერ ცალმხრივად:

13.3. თუ მხარე, დამატებით ვადაშიც, არ ასრულებს ან არსებითად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ამ ხელშეკრულების 9.2 პუნქტით დადგენილი წესით.

13.4. სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომისას, როცა მეორე მხარე უარს ამბობს ხელშეკრულების მისადაგებაზე შეცვლილ გარემოებებთან, ან შეუძლებელია შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგება.

13.5. თუ მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ან თუ მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება ფორს-მაჟორული გარემოებების გამო შეუძლებელია დროებით და მეორე მხარე უარს ამბობს ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებაზე შესაბამისი ხანგრძლივობით.

## **14. დავა და მისი გადაწყვეტის წესი**

14.1. წარმოშობილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა ურთიერთმოლაპარაკებით.

14.2. თუ მხარეები მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმებით გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **15. სხვა პირობები**

15.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის თანახმად, მიმწოდებლის მიერ, შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილ ნაწარმოებზე (კერძოდ პროექტზე) ქონებრივი საავტორო უფლებები ეკუთვნის შემსყიდველს.



15.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება მომწოდებელთან, ორი-შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

#### **16. მხარეთა რეკვიზიტები**